ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2416113

ნომერი: AR1372350

თარიღი : 26.01.2016

გაცემის თარიღი : 03.02.2016

გაცნობის თარიღი : 03.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭოველიძე (ყოფ. ბელინსკი), N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კუხალაშვილი პ/ნ 01030018544
- დ.აღმაშენებლის 75

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1660
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 5.07.2010

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ტურძელაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ენვერ მუჯირი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01013004576

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 470.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 344.74
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3667.0
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2504.95
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 269.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 308.35
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 316.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 257.45
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 10.35
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 12134.98
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 12134.98
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 32.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 29.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 344.74 კ1=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3383.0 კ2=7.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 47.0 კ3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: ოქმი #73
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 23.08.2007

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/2199
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.08.2011

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჭოველიძის ქ. (ყოფ. ბელინსკი) N8–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული პროექტის ცვლილების საკითხს.

გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2010 წლის 5 ივლისს გაცემულია N989 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი), რომელშიც მითითებულია "სართულიანობა განისაზღვროს 6 სართულის ფარგლებში". წარმოდგენილი პროექტი ეწინააღმდეგება აღნიშნულ პირობას. შესაბამისად, საჭიროა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გაპი) შევიდეს ცვლილება.

ამასთან, სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისას თქვენ მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. სწორად უნდა იქნას მითითებული შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები;
2. სწორად უნდა იქნას მითითებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები (N989);
3. შესაბამის ველებში სწორად უნდა იქნას მითითებული მერის განკარგულების რეკვიზიტები (1660, 06.08.2013წ.);
4. წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული მდგომარეობის ამსახველი განახლებული ფოტომასალა, შორი და ახლო ხედით, სხვადასხვა რაკურსით;
5. წარმოდგენილი უნდა იქნას შეთანხმებული პროექტის ავტორის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილი პროექტის ავტორის თანხმობაც;
6. წარმოდგენილი უნდა იქნას AR1326878 განაცხადზე გადახდილი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ქვითრის ასლი;
7. არასწორად არის დაანგარიშებული კ2 კოეფიციენტის მაჩვენებელი. გაცნობებთ, რომ კოეფიციენტები დაანგარიშებული უნდა იყოს 2009 წლის 27 მარტის ქალაქ თბილისის საკრებულოს ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებN4–13 გადაწყვეტილების შესაბამისად. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას კოეფიციენტების საანგარიშო კროკები PDF ფაილის სახითაც;
8. ვინაიდან ორჯერ არის გაცემული განკარგულება კ2 კოეფიციენტის მომატებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ნორმატიული ფასების მიხედვით დაანგარიშებული კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიში;
9. არ არის წარმოდგენილი დამკვეთისა და განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
10. გეგმებზე არ არის ნაჩვენები გათბობა–კონდიცირების აგრეგატების ადგილმდებარეობა;
11. განმარტებით ბარათში არ არის აღწერილი კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოები;
12. არასწორად არის მითითებული შენობა–ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე;
13. დარღვეულია სამეზობლო მიჯნის ზონის პირობები. წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი თანხმობა, ან პროექტი მოყვანილი იქნას კანონმდებლობასთან შესაბამისობაში;
14. სამსახურში შემოსულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის N38/15849 წერილი დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შესაბამისი აქტი და საჭიროების შემთხვევაში, ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში 2016 წლის 26 იანვრის N AR1372350 ელექტრონული განცხადებით წარმოდგენილ, ქ. თბილისში, ჭოველიძის (ყოფ. ბელინსკი) ქ. N8–ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.02.010.026) სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით ა.წ. 1 თებერვალს წარმოდგენილია AR1374109 ელექტრონული განცხადება, რომლითაც მოქ. თეო ჯაჯანიძე ითხოვს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას და 2015 წლის 24 ნოემბერს წარმოდგენილია AR1358917 ელექტრონული განცხადება, რომლითაც მოქ. ნატო ჩაჩუა ითხოვს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვას. განაცხადის ხელმეორედ წარმოდგენის შემდგომ აღნიშნული საკითხის განსახილველად სამსახურის მიერ ჩაინიშნება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა. შესაბამისად, საქმის გარემოებების არსებითად გამოკვლევის მიზნით შესაძლებელია სამსახურის მიერ მოხდეს წარმოების ვადის გაგრძელება.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისათვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის ან არასრულყოფილი დოკუმენტაციის ატვირთვის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.